ვერხვეული

მუსიკისმცოდნე
ლალი ზადიკაშვილი

გიორგი ვასაძე

შოუბიზნესი საქართველოში არ არსებობს, შოუყაჩაღობა — კი

ქ. თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ, ცენტრუბანში რუსთაველის პროსპექტზე №42-ში სულ რაღაც ორიოდე წლის წინ საფუძველი ჩაეყარა ეგრეთ წოდებულ „კლუბ სარდაფს", სადაც თავს იყრიდა და დღესაც იყრის ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები: მუსიკოსები, ლიტერატორები, თეატრისა და კინოს მოღვაწეები, რომლებიც არა მარტო ახალგაზრდობას, არამედ საზოგადოების სხვა თაობებსაც ძირფესვიანად აცნობენ ზემოთ ხსენებული სფეროს ყოველ დეტალს. „კლუბ სარდაფის" ეს შესანიშნავი და ამავე დროს, საყოველთაო საქმიანობა დიდ დახმარებას გაუწევს დღევანდელ თაობას, უფრო ღრმა გაეცნონ იმ ხელოვნებას, რომლის შესახებაც, ჩვენდა სამწუხაროდ, არავითარი ინფორმაცია არ გააჩნიათ. დაშლისა და დანგრევის ხლვარზე მყოფი ქართული ხელოვნებისათვის „კლუბ სარდაფის" სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩენა სწორედაც რომ დროული აღმოჩნდა. არსებობის მცირე დროის მანძილზე „კლუბ სარდაფმა" საკუთარი მაყურებელი გაიჩინა. დარწმუნებული ვარ, რომ სულ ცოტა ხანში სახოგადოების უფრო მეტი ნაწილი გამოთქვამს სურვილს ამ საღამოებზე დასასწრებად. მე მომეცა შემთხვევა შეეხვედროდი და გავსაუბრებოდი „კლუბ სარდაფის" ერთ-ერთ თაოსანს, რომელიც მუსიკალურ სფეროს ხელმძღვანელობს — გიორგი ვასაძეს.

„კლუბი სარდაფი", რომელიც იურიდიული თვალსაზრისით არის კლუბი-კავშირი, ემსახურება ხელოვნების სხვადასხვა დარგებს. თავდაპირველი იდეა „კლუბ სარდაფის" გახსნის შესახებ წამოვიდა რეჟისორ დათო ჯანელიძისგან, რომელსაც სურდა შეექმნა „კინოკლუბი". შემდგომში გიორგი ვასაძესთან, თამთა ბერიშვილთან, მაკა ვასაძესთან და ნინო გუჯაბიძესთან ერთად ჩამოყალიბდა იდეა მთლიანობაში ხელოვნების კლუბის შექმნის შესახებ, სადაც შედგებოდა საუბრები ხელოვანს შორის, გაზიარება კარგის, ცუდის და ა.შ. მიზანი „კლუბ სარდაფის" მესვეურთა გახლდათ ის, რომ ეჩვენებინათ ახალგაზრდობისათვის ჭეშმარიტი ხელოვნება, რომელსაც აგრეთვე იდეურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ექნებოდა. მოხდა დანაწილება ხელოვნების სხვადასხვა სფეროებისა. მაგალითად, დათო ჯანელიძე კინოხელოვნებას ჩაუდგა სათავეში, რომელიც მაღალი დონის ლექციებთან ერთად, საღამოებს უთმობდა აგრეთვე ისეთი უნიკალური ფილმების ჩვენებას, რომელიც არც ერთ ვიდეოთეკაში არ არსებობდა და არ არსებობს. მიმდინარეობდა ფილმების ჩვენება, დაწყებული მუნჯურიდან, დამთავრებული გახმოვანებულ ფილმებამდე.

იმართებოდა ლიტერატურული საღამოები. მოწვეული იყვნენ კლასიკოსები: ანა კალანდაძე, ბესიკ ხარანაული, ჭაბუა ამირეჯიბი, ოტია იოსელიანი, მიხეილ ქვლივიძე და მრავალი სხვა. ამავე დროს გვერდს არ უვლიან ახალგაზრდებს. რომელთაც საშუალება ეძლევათ, მსმენელს გააცნონ თავიანთი შემოქმედება. ხშირია წიგნის პრეზენტაციებიც. იმართება ფერწერული, ასევე ფოტოგამოფენები. მაგალითად: მირზამვილის, ბულაძის, ალექსიძის; მათ ნამუშევრებს სარდაფის ერთი კუთხე აქვს მთლიანად დათმობილი. პარალელურად გამოფენებს აწყობენ სამხატვრო-აკადემიის სტუდენტები და თვითნასწავლი მხატვრები. ცოტა ხნის წინ მოეწყო გენიალური თვითნასწავლი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის გამოფენა (ორიგინალში).

„კლუბ სარდაფის" დაარსებიდან მოყლე დროის მანძილზე გაჩნდა იდეა მუსიკალური საღამოების მოწყობის შესახებ, რასაც იდეის თაოსნებმა. მე ვიტყოდი, მშვენივრად გაართვეს თავი. დღევანდელობაში საზოგადოება გარემოცულია მდარე ხარისხის პრიმიტიული მუსიკალური ხელოვნებით; დადგა დრო, რომ ამავე საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს, თუ რას ნიშნავს ჭეშმარიტი მუსიკალური ხელოვნება, რანი ვიყავით და რა ვართ დღეს, ამის გარჩევა მათთვის მიგვინდვია.

გიორგი ვასაძისა და მომღერალ ირინა სოლტიშის თაოსნობით დაითქვა დღე მუსიკალური საღამოებისათვის. პირველი საღამო მიეძღვნა რომანსებს და შესრულებულ იქნა აგრეთვე რამდენიმე საესტრადო სიმღერაც. მუსიკალურ საღამოებს უძღვებოდა თვით ირინა სოლტიში. მოწვეული იყო ესტრადის მრავალი შემსრულებელი, რომელსაც მიეცა არა კონცერტის, არამედ შეხვედრების სახე. მსმენელს კი მისცა შესაძლებლობა წინასწარმომზადებისა და ცენზურის გარეშე დაესვათ შეკითხვები შეხვედრის მონაწილეთათვის. ასეთი საღამოების დღესაც გრძელდება.

ძალზედ ნაყოფიერი აღმოჩნდა ახალგაზრდობისთვის ცნობილი მუსიკოსისა და კომპოზიტორის დათო ევგენიძის მუსიკალური საღამოები. თავდაპირველად იგი ლექციების სახით იმართებოდა, ლექციები საკმაოდ მაღალი დონისა გახლდათ და მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. დღესდღეობით კი თამა რაოდენობამ საკმაოდ იმატა.

ბოლო პერიოდში ლექციებთან ერთად სრულდება მუსიკა ცოცხალი შესრულებით. ერთ-ერთი ლექცია კი დაეთმო ქართულ ნაციონალურ საკრავებს.

ბოლო ლექცია საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა მსმენელთათვის. ამ საღამოს თემა გახლდათ მუსიკალური ხელოვნების ურთულესი ჟანრი ჯაზი. მოწვეული იქნა ფლეიტისტი დათო ოძელაშვილი. დათო ევგენიძემ მსმენელს გააცნო ფლეიტის წარმრშობის შესახებ და მისი შესაძლებლობები, როგორც საკრავის. ამ საღამოზე მოხდა უნიკალური შემთხვევა. ამ ორმა უნიჭიერესმა მუსიკოსმა პირველად ერთად შეასრულეს იქვე შექმნილი იმპროვიზაცია ფლეიტისა და ფორტეპიანოსათვის. სხვათაშორის, გიორგი ვასაძე ის პიროვნება გახლავთ, რომელსაც ძლიერ უყვარს ჯაზი და დაინტერესებულია ამ სფეროთი.

მისთვის ძალზედ საძწუხაროა ის ფაქტი, რომ დღემდე ვერ მიაღწია სარდაფში ჯაზის პოპულარიზაციას. მაგრამ იტოვებს იმედს, რომ ოდესმე ეს განხორციელდება. ამ საკითხში მას დიდ თანადგომას უწევს მუსიკისმცოდნე ირინა ებრალიძე, რომელსაც საკმაოდ სერიოზული გეგმები გააჩნია ამ სფეროში. ფაქტიურად, მთელი ტვირთი მან თავის თავზე აიღო. გადაწყვეტილი აქვს. დააწესოს ჯაზის ერთი დღე.

მინდა გაუწყოთ, რომ 27 თებერვალს 4 საათზე მსმენელს დიდი სიამოვნება ელოდება; საღამოს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „მზიური", ხელმძღვანელი გურამ ჯაიანი, შესრულებული იქნება მიუზიკლი „ოლივერი".

საღამოს მეორე ნაწილი დაეთმობა ჯაზის კომპოზიციებს, სადაც მონაწილეობას მიიღებს ჯაზ-ბენდთან ერთად სოფო ბუთურიშვილი და სოფო ჩხეტიანი.

დაბოლოს მინდა გაგაცნოთ ბატონ გიორგი ვასაძის აზრი მუსიკალური ხელოვნების, მისი საჭირბოროტო საკითხების შესახებ:

— თქვენი აზრი გასული საუკუნის 60-80-იანი წლების საესტრადო ხელოვნების შესახებ?

— ფაქტიურად, იმ დროს მე არ მოვსწრებივარ, არც ვიყავი დაბადებული, მაგრამ ფირფიტებისა და ჩანაწერების მეშვეობით კარგად ვიცნობ იმ წლების ხელოვნებას. თავისთავად ძალიან მომწონს და ვაფასებ.

— რას იტყვით ხალხური მუსიკის შესახებ, რომელიც პროფესიული მუსიკის მყარ საფუძველს წარმოადგენს?

— ისევე, როგორც ანბანი საწყისია ლიტერატურული შედევრისა, ასევე მყარი საფუძველია ხალხური,

დასასრული მე-17 გვერდზე